



**პირველი სამუშაო ჯგუფის,
გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის
შეხვედრის ოქმი**

თარიღი: 18 აგვისტო, 2017 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „ციტადინი“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
2. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
3. ლია ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
4. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
5. ჩარიტა ჯაში - კავკასიის განვითარების ჯგუფი
6. ელენე რუსეცკაია - ქალთა საინფორმაციო ცენტრი
7. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
8. ანა თვარაძე - კონსტიტუციის 42-ე მუხლი
9. მარიამ ჩიტიშვილი - კონსტიტუციის 42-ე მუხლი
10. მერი კაპანაძე - დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი
11. ინგა ხუციშვილი - სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი

განსახილველი საკითხები:

- გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის სამუშაო მეთოდების განსაზღვრა;
- ქვეჯგუფის კოორდინატორის არჩევა;
- სხვა.

ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა ბიწაძე-მიქელაძემ მოკლედ მიმოიხილა ის პროცედურები, რაც წესდების თანახმად აუცილებელია ქვეჯგუფის დაარსებისთვის. აქვე აღნიშნა, რომ გენდერის საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფის დაარსების ინიციატივა აქამდეც არსებობდა მეოთხე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, თუმცა სამწუხაროდ, ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. ამდენად მან წესდებით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინა პლატფორმის წევრი ორგანიზაციების ხელმოწერილი ინიციატივა გენდერული ქვეჯგუფის დაარსების მოთხოვნით. საბჭომ თავის მხრივ, მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას ქვეჯგუფი, რომელიც ღია იქნება ყველა ჯგუფის წარმომადგენლისთვის.

ამდენად, ჩამოყალიბდა გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფი, რომელიც პირველი ინტერჯგუფური ქვეჯგუფია, რომელსაც კოორდინაციას გაუწევს პირველი სამუშაო ჯგუფი.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, ქვეჯგუფმა განიხილა კოორდინატორის არჩევის საკითხი. ორგანიზაცია „ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი“-ს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ლია ნადარაიამ, რომელიც გახლდათ პირველი ჯგუფის ფარგლებში ქვეჯგუფის ჩამოყალიბების ინიციატორი, ისაუბრა ქალთა უფლებების დაცვის პრაქტიკას, გამოცდილებასა და როგორც რეგიონალურ, ასევე საერთაშორისო კონტაქტებზე, რაც მის ორგანიზაციას გააჩნია. აქვე ხაზი გაუსვა გენდერულ საკითხებზე აქტიური მუშაობის აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

ქვეჯგუფმა მსჯელობის შემდეგ, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, მიიღო გადაწყვეტილება, პლატფორმის შემდეგ კრებამდე (2018 წლის თებერვალი) „ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრის“ წარმომადგენელი, ქალბატონი ქეთევან კურცხალია არჩეულ იქნას ქვეჯგუფის კოორდინატორად.

შეხვედრის მიმდინარეობისას, აღნიშნულმა ორგანიზაციამ ასევე წარადგინა შემდეგი ძირითადი მიმართულებები, რაზეც ქვეჯგუფმა აქტიურად უნდა იმუშაოს:

- საქართველოს ეროვნული პლატფორმის საქმიანობის გენდერული ნიშნით გაძლიერება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა - სხვადასხვა კამპანიების ორგანიზება, მიმიდნარე გენდერულად მგრძობიარე საკითხებზე აქტიური გამომხატვრება, გენდერული საკითხების წინა პლანზე წამოწევა და სხვა;
- ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვა-განხორციელება, მათ შორის მთავრობასა და სხვა სამიზნე ჯგუფებთან;
- საერთაშორისო დონეზე გააქტიურება - რეგიონალური კონტაქტებისა და ბერკეტების გამოყენებით საერთაშორისო არენაზე გენდერული საქმიანობის გაუმჯობესება.

ქვეჯგუფის წევრებმა ასევე ისაუბრეს აღნიშნული მიმართულებების შესაბამისად, სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების საკითხზე. ქვეჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება შემდეგ შეხვედრაზე შედგეს დეტალური განხილვა სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

ორგანიზაციის „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია“ თანხმობა“ “ - ის წარმომადგენელმა, ქალბატონმა იულია ხარაშვილმა ასევე წარადგინა წინადადება, ქვეჯგუფი აქტიურად ჩაერთოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ისა და მისი საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში. მან ასევე

წარადგინა წინადადება აღნიშნულმა ქვეჯგუფმა მოახდინოს რეაგირება ახალგორში დაკავებული სამოქალაქო აქტივისტისა და ჟურნალისტის თამარ მეარაყიშვილის საქმეზე.

თამარ მეარაყიშვილი 16 აგვისტოს სახლთან ახლოს ახალგორის პროკურატურის წარმომადგენელმა, ბრალდებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის გარეშე დააკავა და მილიციის განყოფილებაში გადაიყვანა, სადაც დაკითხვა ღამის 12 საათამდე გაგრძელდა. როგორც ცნობილი ხდება, იგი ეჭვმიტანილია მმართველი პარტია „ედინაია ოსეთიას“ წევრ სპარტაკ დრიაევის მიმართ ცილისმწამებლურ განცხადებებში. „ედინაია ოსეთიას“ თავმჯდომარე დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვია. თამარ მეარაყიშვილი ამ ყველაფერს დაშინების მცდელობად მიიჩნევს.

ორგანიზაციის „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“-ს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ელენე რუსეცკაიამ ქვეჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დაკავებულს ესაჭიროება საერთაშორისო ადვოკატი, რამდენადაც ახალგორში ქართველი ადვოკატის ლიცენზია არ არის აღიარებული. მისი მოსაზრებით მნიშვნელოვანია, კონკრეტული მიზნობრივი აქტივობების განხორციელება, მათ შორის შესაძლებელია წერილის/მიმართვის მომზადება საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რათა ერთი მხრივ, ყურადღების მიღმა არ დარჩეს აღნიშნული საქმე და მეორე მხრივ, საერთაშორისო იურისტმა გაუწიოს დახმარება ბრალდებულს.

ქვეჯგუფი შეთანხმდა მომზადდეს წერილის სამუშაო ვერსია, რომელიც დამუშავდება ქვეჯგუფის Google ჯგუფში.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.